შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება

N 14
26/06/2020

14-08-4-202006261608

შუახევის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა შუახევში ხიმშიაშვილის ქუჩა N2-ში პირველ სართულზე მდებარე 12 კვ.მ საოფისე ფართის საკადასტრო კოდი: 24.02.32.089.006 სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურისათვის უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით მათი არსებობის ვადით გადასაცემად შუახევის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის `ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის~ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა შუახევის მუნიციპალიტეტის მერს, შუახევის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა შუახევში ხიმშიაშვილის ქუჩა N2- ში პირველ სართულზე მდებარე 12 კვ.მ საოფისე ფართის საკადასტრო კოდი: 24.02.32.089.006 სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურისათვის უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით მათი არსებობის ვადით გადასაცემად.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარისათვის გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

3. განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე

გიორგი დავითაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა